ПРОЛЕТАРЕБО ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 85 (13206) | კვირა, 11 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

12 აპრილი
კოსმონავტიკის
დღე
დიდება მამაც საბჭოთა
კოსმონავტებს!

7 აპრილს, საბჭოთა მეცნიერების დღესასწაულის — კოსმონავტიკის დღის წინ კალუგაში — ციოლკოვსკის ქალაქში ჩავიდნენ კოსმონავტი მფრინავები პავლე ივანეს-ძე ბელიაევი, ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი, პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი. ისინი იყვნენ კ. ე. ციოლკოვსკის სახლ-მუზეუმში, გვირგვინით შეამკეს ციოლკოვსკის საფლავი, დაესწრნენ კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას. სურათზე: პ. ი. ბელიაევი და ა. ა. ლეონოვი ციოლკოვსკის ობელისკთან.

ფოტო ვ. ჩერედნიცეევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახლა მთავარია კონკრეტული საქმე

პარბა ხანია ძალაში შეიდა შვიდწლედის შეშვიდე გაზაფხული. და ეს გაზაფხული სავსეა მეტად მნიშვნელოვანი ამბებით, სოფლის მშრომელთა დიდი შემოქმედებითი აღმავლობით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი ჰორიზონტები გადაუშალეს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

ჩვენი რესპუბლიკის ადამიანები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ პლენუმის მასალებს. დგამენ პირველ ნაბიჯებს საბრძოლო გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების გზაზე. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაულახელ ღონისძიებებში ისინი ნათლად ხედავენ ხალხთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის დიდ პარტიულ ზრუნვას.

სოფლის მეურნეობაში დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ღონისძიებების განხორციელება თავის მხრივ მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას. ღრმად დაარწმუნონ ადამიანები ჩვენი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მთელ სიკეთეში, მიაღწიონ, იმას რომ თვითეულმა მშრომელმა დროულად და სწორად იპოვნოს თავისი ადგილი ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის მებრძოლთა რიგებში — ეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტის დიდ ენერგიასა და მონდომებას მოითხოვს.

ცუდად როდი დაიწყეს რაიონულმა, საქალაქო კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს საქმე. პლენუმის მასალების გამოქვეყნებისთანავე ბევრგან ფართოდ გაიშალა პროპაგანდისტული მუშაობა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ღრმად გაეცნოთ თვითეული მშრომელისათვის. საამისოდ ისინი იყენებენ მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ საშუალებათა მდიდარ არსენალს.

მაგალითად, პარტიის წყალტუბოს რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ქრომაგანდის სხვა ფორმებთან ერთად ატარებენ კითხვა-პასუხის საღამოებს, თეორიულ და ეკონომიურ კონფერენციებს, ბათუმს, დუშეთის ვანის და მთელი რიგი სხვა რაიონების სოფლებში მოეწყო მარტის პლენუმის მასალებისადმი მიძღვნილი გამოფენები. განსაკუთრებით გამოცოცხლდა აგიტატორების ლექტორთა ჯგუფების საქმიანობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამასთანავე. კარგად იციან, რომ პლენუმის იდეების პროპაგანდა საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. ამიტომ ისინი ყურადღებას აქცევენ იმას, რომ როგორც იდეოლოგიურად. ისე ორგანიზაციულად უზრუნველყონ სოფლის მეურნეობაში მეტად პასუხსაგები ეკონომიური ამოცანების წარმატებით შესრულება.

ამ დღეებში გაიმართა რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებები, რომლებმაც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები. და რაიონული, საქალაქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები. ეს კრებები ყველგან მოეწყო პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის. ამ ბრძოლაში თვითეული კომუნისტის, თვითეული ადამიანის პასუხისმგებლობის ამაღლებისა და მათადმი მომთხოვნელობის გაძლიერების ნიშნით. კომუნისტებმა ყველგან საქმიანი საუბარი გამართეს იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთონ მათ სოფლად ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში მასების აქტივობის ასამაღლებლად.

კომუნისტები მომავალი მუშაობის კონკრეტულ გეგმას რომ განსაზღვრავენ, ამასთან ერთად ამხილებენ ნაკლოვანებებს. ავლენენენ ახალ რეზერვებსა და საშუალებებს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ზუგდიდის, მახარაძის, წითელწყაროს, ახალქალაქის და მთელი რიგი სხვა რაიონების პარტიული აქტივის კრებებზე გამახვილებულ იქნა ყურადღება შრომის ორგანიზაციის განმტკიცების, წარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების, სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვენერა დუმბაძემ აქტივის კრებაზე განაცხადა. რომ ჩაის მიმღები პუნქტების რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, მოკრეფილ ფოთოლს ხშირად 3-4 კილომეტრით დაშორებულ პუნქტებში ვეზიდებით. ეს კი ნედლეულის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებსო. ამავე კრებაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდობის სამუშაოზე დამაგრებას ხელს უშლის მათთვის საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობა.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი ხელსაყრელ პირობებს უქმნიან პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობას სოფლად. ახლა თავი და თავი ის არის, რომ უნარიანად გამოვიყენოთ ეს პირობები, გავშალოთ ფართო ორგანიზატორული მოღვაწეობა მასების შრომითი აქტივობის გასაძლიერებლად შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის. მთელი მატერიალური და ორგანიზატორული ძალები აქტიურად უნდა ავამოქმედოთ, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღონ მაღალი და მყარი მოსავალი. ბევრად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის რენტაბელობა.

რესპუბლიკაში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამ მხრივ ერთ-ერთი სასპატიო ადგილი უჭირავს საგაზაფხულო სამუშაოების ფრონტს. საკოლმეურნეო მინდვრებიდან მეცხოველეობის ფერმებიდან, საბჭოთა მეურნეობების აგროუბნებიდან მოდის პირველი ცნობები იმის შესახებ, რომ სოფლში საგაზაფხულოდ დათესილი ჰექტარებით უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე, საფუძველი ეყრება წლის უხვ მოსავალს.

ეს გაზაფხული ერთ-ერთი სერიოზული გამოცდა იქნება ჩვენი კადრებისათვის, კომუნისტებისათვის. იგი განსაკუთრებით ბევრს აკისრებს ახალ რაიონულ კომიტეტებს, რომლებზეც ამჟამად ჩვენი პარტია დიდ იმედს ამყარებს. სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ პრაქტიკულად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების პასუხსაგები ამოცანები. ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ საბჭოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას სოფლად და საქმით უზრუნველყონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულება. მიღწეულ უნდა იქნას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო გააქტიურონ ადგილებზე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშეწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესრულებაში დიდი როლი აკისრია მასების ორგანიზაციის ისეთ მძლავრ ბერკეტს, როგორიც საბჭოთა პრესაა. რაიონული გაზეთების ხელახლა გამოცემით, რაც მოკლე ხანში ყველგან განხორციელდება, პარტიის რაიკომები უფრო წარმატებით გადაჭრიან კომუნისტური მშენებლობის მომწიფებულ საკითხებს.

ამ ორი დღის წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილების განხორციელების ღონისძიებანი და ერთსულოვნად მოიწონა ისინი, მიიღო განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები შემოქმედებითად გამოიყენებენ მასებისადმი ხელმძღვანელობის მდიდარ გამოცდილებას, აამაღლებენ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონეს, რომ პლენუმის გადაწყვეტილება ცოცხალ, კონკრეტულ საქმედ იქცეს.

დამთავრდა მეგობრული ვიზიტი პოლონეთში

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

10 აპრილს ვარშავიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

დელეგაციაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ი. კრილოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. დროზდენკო. დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ბ. არისტოვი.

იმავე მატარებლით მოსკოვს დაბრუნდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ე. პშჩოლკოვსკი.

დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით.

ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას 20 წლის ვადით. ეს ხელშეკრულება გაგრძელდება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის კავშირის, რომელიც 1945 წელს შეკრეს.

ბელორუსიის ვოგზალში, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. ბ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი და სხვები.

შემხვედრთა შორის იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

ვინ იქნება მედროშე?

საპირველმაისოდ თაოსნობა ფრთებს ისხამს

ქუთაისი. (საკ. კორ.). თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის გ. ჩადუნელის ბრიგადის თაოსნობამ მხარდაჭერა ჰპოვა ქუთაისის სამრეწველო საწარმოებშიც.

გუშინ ელექტრომექანიკური ქარხნის ელექტრომანქანების საამქროს მუშებმა და სპეციალისტებმა თავი მოიყარეს წითელ კუთხეში. გ. ჩადუნელის ბრიგადის შესანიშნავი ინიციატივა საამქროს კოლექტივს გააცნო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. კობერიძემ.

პირველმა აიღო სიტყვა ელექტროძრავების მგრაგნელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. შავგულიძემ, რომელმაც მოიწონა გ. ჩადუნელის ბრიგადის თაოსნობა და თავისი ბრიგადის წევრთა სახელით იკისრა აპრილის დავალება ლენინის დაბადების 95-ე წლისთავისათვის შეასრულოს.

სიტყვებით გამოვიდნენ და ვალდებულებები იკისრეს სინქრონული ძრავების ამწყობთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. კვირკველიამ; ამწყობმა ზეინალმა რ. სირაძემ, საამქროს უფროსის მოადგილემ გ. წითაძემ და სხვებმა.

საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა აპრილის დავალება შეასრულოს 28 რიცხვისათვის, დარჩენილ დროში გეგმის გადამეტებით გამოუშვას „ჰედ-35“ ტიპის სამი ძრავი, ორი სინქრონული ელექტროძრავი და ამდენივე ელექტროცენტრიდანული ტუმბო, აამაღლოს წარმოების კულტურა, პროდუქციის ხარისხი და მიაღწიოს პროდუქციის პირველი წარდგინებისთანავე ჩაბარებას.

ფრომითს ვახტფზე

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ყველა საწარმოში — მოსამზადებელში, სართავში, საქსოვში და გამომყვანში გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადის ინიციატივის განსახილველად გაიმართა სახელდახელო მიტინგები. განსაკუთრებული გაცხოველება იყო მაუდის ნართის საწარმოს კოლექტივის სახელდახელო მიტინგზე. ტრიბუნაზე ერთიმეორეს სცვლიდნენ სხვადასხვა საამქროსა და ბრიგადის წარმომადგენლები — ქვეოსტატი ა. ჯალალი, მრთველი მ. წიკლაური, მეფთილე ლ. კელენჭერიძე, შემპავველი შ. არჩვაძე და სხვ. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბრიგადათა ხელმძღვანელებს უფლება მიეცეთ თავიანთ საწარმოთა დრშებით ჩადგნენ საზეიმო დემონსტრაციის პირველ კოლონაში, ხოლო გამარჯვებული ბრიგადის წევრები ხელში სათანადო პლაკატით წინ გაუძღვნენ საწარმოს კოლექტივის სახელდახელო მიტინგზე. ტრიბუნაზე ერთიმეორეს სცვლიდნენ სხვადასხვა საამქროსა და ბრიგადის წარმომადგენლები — ქვეოსტატი ა. ჯალალი, მრთველი მ. წიკლაური, მეფთილე ლ. კელენჭერიძე, შემპავველი შ. არჩვაძე და სხვ. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბრიგადათა ხელმძღვანელებს

ბულება შეამცირონ გეგმით მოცემულის 0.5 პროცენტის გადამეტებით და 1 მაისისათვის 25.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცეს სახელმწიფოს. აამაღლონ პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვების ხვედრითი წონა გეგმით მოცემულზე 0.2 პროცენტის გადამეტებით და გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 1 პროცენტით; შექმნან და წარმოებაში დანერგონ 3 ახალი სახის ქსოვილის წარმოება და აითვისონ მეორე 3 ახალი მოდური ქსოვილის გამოშვება.

საპირველმაისო ვალდებულებათა შესრულების შეჯამება მოხდება 29 აპრილს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

10 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრობის მოვალეობებისაგან გაათავისუფლა ამხ. რ. ი. ფრუიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ო. ი. ლოლაშვილი და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად და საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ი. ა. შეგარდნაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ. (საქდესი).

ფილოსოფოსთა შეხვედრის შედეგები

მოსკოვი, 9 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში დამთავრდა მატერიალური დიალექტიკის თანამედროვე პრობლემების განხილვისადმი მიძღვნილი თათბირი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აკადემიკოსმა ფ. ვ. კონსტანტინოვმა განაცხადა:

— ვფიქრობ, თათბირის მონაწილეთა საერთო აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი შეხვედრა სასარგებლო იყო. სამი დღის განმავლობაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში გამოვიდნენ თანამედროვე ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები.

ჩვენ ყოველთვის კარგად ვგრძნობთ თავს იმ საკითხებზე შეკვიანი და მეგობრული საუბრების შემდეგ, რომლებიც გვაინტერესებს. სამი დღის განმავლობაში ფილოსოფიის ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზში 500-ზე მეტი კაცი — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქისა და რესპუბლიკის მეცნიერები — თავისუფლად უზიარებდა აზრს ერომანეთის მარქსისტული დიალექტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

გამოვიდა ორმოცზე მეტი კაცი. გადაწყვიტეთ განხილვის შედეგები გამოეცეთ ცალკე წიგნად, რომელიც ჩვენი მუშაობის კარგი გაგრძელება იქნება.

თათბირმა გვიჩვენა, რომ ცოცხალია, ყაზახეთში, საქართველოში, ეორკში, როსტოვსა და სხვა ქალაქებში წარმატებით ვითარდება ფილოსოფოს-მარქსისტთა სერიოზული შემოქმედებითი კოლექტივები.

„ნივა“ მიდის მკითხველებთან

მოსკოვი, 9 აპრილი. (საკდესის კორ.). სოფლის მშრომელებს ახალი თანამგზავრი გამოუჩნდათ. ეს არის მეცნიერულ-პოპულარული ყოველთვიური ჟურნალი „ნივა“. ხელის მომწერლებს ეგზავნებათ მისი პირველი ნომერი.

სოფლის მკითხველები კმაყოფილებით გადამლიან „ნივის“ ფურცლებს, რომლებსაც ჯერ კიდევ სტამბის საღებავის სუნი ასდით. სოფლის მშრომელები ამ ჟურნალში ბევრ საინტერესო და სასარგებლო ამბებს გაეცნობიან.

მკითხველი გაეცნობა საინტერესო მასალებს საბჭოთა მზვერავ ზორგეს შესახებ, ვარსკვლავთა სამყაროს საიდუმლოებებზე, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

ჯანმრთელობის გვერდზე ჟურნალი იძლევა ათობით სასარგებლო რჩევა-დარიგებას მეოჯახეობაზე, აქვე ბეჭდავს ახალ მოდებს. რედაქციამ არ დავიწყო „ნივის“ ყველაზე პატარა მკითხველებიც: მათთვის დაბეჭდილია ბავშვობა ზღაპარი.

ჟურნალი უხვად არის ილუსტრირებული.



ბანდიტური თავდასხმა

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაცია დღეს თავს დაესხა ჩრდილოეთ ვიეტნამს. ამას იტყობინება საიგონი და ასოშიეიტედ პრესის საგენტო.

თავდასხმაში მონაწილეობდა ამერიკის 75 თვითმფრინავი.

სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონები გადასხდნენ. წინადადება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხედრო ძალით ჩაშლობის შესახებ შეეკრიბა ცოფიანთა მეთაურს ბარი გოლდუოტერს, როცა ცდილობდა პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა.

პოლონელ მხატვარ კაროლ ფერსტერს დაუხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები. ისინი ყველანი გოლდუოტერს ჰგვანან. კარიკატურისტს თავისი ნახატისათვის ირონიულად წაუწერია: „ბოლდუოტერის გამარჯვება“.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობა

კეკინი, 10 აპრილი. (საკდესი), სინხუას საგენტო იუწყება:

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ 9 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე კე ცინ-ში.

კოსმოსი და... დამნაშავენი

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). ამერიკელი მეცნიერები ცდების საწარმოებლად იყენებენ პატიმრებს ამერიკის შეერთებული შტატების კოსმონავტების კოსმოსური გაფრენების პროგრამების შესამუშავებლად. კონექტიკუტის შტატის დანბურის საპატიმროს სამედიცინო ინსპექტორმა ედვარდ ტეიტლმენმა გაზეთ „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენის“ კორესპონდენტს პირლს განუცხადა, რომ ამ საპატიმროს პატიმრებზე უკვე სამი წელია აწარმოებენ ცდებს ორი პროგრამით. საავადმყოფო, სადაც ეს ექსპერიმენტები ხორციელდება, მდებარეობს ნიუ-იორკში სტეიტენ-აილენდის კუნძულზე და, როგორც გაზეთი იტყობინება, ცდები უაღრესად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობს. ამჟამად ექიმები ცდილობენ გამოარკვიონ იმ თავბრუსხვევის მიზეზი, რომელსაც ამერიკელი კოსმონავტები გრძნობდნენ კოსმოსში გაფრენის შემდეგ. კორესპონდენტი წერს, რომ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ახალი პროგრამის შესაბამისად, შერჩეულია პატიმართა ჯგუფი, რომლებზეც სამი კვირის განმავლობაში უნდა აწარმოონ ექსპერიმენტები უწონობის მდგომარეობაში ორგანიზმის მოქმედების გამოსაკვლევად.

თითოეული პატიმრისათვის გულის არეში შეაყავთ სპეციალური კათეტერი და ასეთ მდგომარეობაში ჰყავთ იგი ლოგინში ორი კვირის მანძილზე, ადამიანის ორგანიზმი, ტეტლმენის სიტყვით, ამაზე ისე რეაგირებს, როგორც უწონობის მდგომარეობის დროს. ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ პატიმრებს საპყრობილეში აბრუნებენ და „უნაზღაურებენ შრომას“ — ცდის თითოეული დღისათვის 25 დოლარს აძლევენ. უმცირებენ აგრეთვე პატიმრობის ვადასაც შემდეგი პროპორციით — ცდის ერთი დღისათვის ამი დღით.

„ერლი ბერდი“ ორბიტაზე გაუშვეს

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). გუშინ დედამიწიდან მოცემული ბრძანებით გამოირთო ამერიკის კავშირის თანამგზავრის „ერლი ბერდის“ ძრავა, რის შედეგად თანამგზავრი გადავიდა შუალედურ ელიფსურ, თითქმის წრიულ ექვატორულ ორბიტაზე. რამდენადაც თანამგზავრი დედამიწის გარშემო ფრენას 24 საათს ანდომებს, იგი განუწყვეტლივ იმოძრავებს ატლანტიკის ოკეანის თავზე ეკვატორის განედზე და გამოყენებულ იქნება რეტრანსლატორად სატელევიზიო, სატელეფონო და სატელეტაიპო კავშირის ხაზებისათვის ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას შორის.

6 აპრილს გაშვებული „ერლი ბერდი“ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრია, რომელიც კერძო კომერციულ ორგანიზაციას ეკუთვნის.

ჩვენს დიად სამშობლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსმონავტები გვილოცავენ

„კომუნისტის“ მკითხველებს

რუსთავის მეტალურგებს, ტყვარჩელისა და ტყიბულის მაღაროელებს, კახეთის მევენახეებსა და კოლხიდის მეჩაიეებს, პოეტებსა და მხატვრებს, მსახიობებსა და მასწავლებლებს — მთელ კეთილ, სტუმართმოყვარე და სახელოვან ქართველ ხალხს გულითად სალამს ვუძღვნით გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით.

მოგილოცავთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, დღესასწაულს და სულითა და გულით გისურვებთ მაგარ ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს ცხოვრებასა და შრომაში.

კოსმონავტი მფრინავები: ბელიაევი, ლეონოვი.

Металлургам Рустави, горнякам Ткварчели и Ткибули, виноградарям Кахетии и чаеводам Колхиды, поэтам и художникам, аптекарям и учителям — всему доброму, гостеприимному и славному грузинскому народу мы шлем через газету „Комунисти“ свой сердечный привет.

Поздравляем Вас, дорогие наши друзья, с праздником и желаем Вам от всего сердца непоколебимого здоровья, новых успехов в жизни и труде.

Летчики-космонавты:

Беляев
Леонов

ადამიანი და სამყარო



მსოფლიოში ადამიანის პირველი კოსმოსური გაფრენის მეოთხე წლისთავი აღინიშნა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენით. 1965 წლის 18 მარტს ორბიტაზე გაყვანილ იქნა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „ვოსხოდ-2“, რომელსაც მართავდა ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის პაველ ბელიაევისა და მეორე პილოტის ალექსი ლეონოვის შემადგენლობით.

26 საათში ხომალდმა 17-ჯერ და მეტჯერ შემოუარა დედამიწას და გაიარა 720 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი. დაშვება პირველად განხორციელდა ხელით მართვის სისტემის გამოყენებით. მეორე გარშემოვლისას კოსმონავტი ლეონოვი, რომელიც სიცოცხლის უზრუნველყოფის ავტონომიური სისტემით აღჭურვილ სკაფანდრში იყო, ხომალდიდან ღია კოსმოსურ სივრცეში გავიდა და 10 წუთს იყო იქ. კაბინის გარეთ მყოფმა მან შავი ზღვის სანაპიროდან სახალინამდე იფრინა. ამ ექსპერიმენტმა ცხადყო ღია კოსმოსში ადამიანის მიზანმიმართული მოქმედების შესაძლებლობა.

კოსმონავტის გასვლა კაბინიდან თავისი მნიშვნელობით უახლოესდება საბჭოთა კოსმონავტის იური გაგარინის ფრენას თანამგზავრ ხომალდ „ვოსტოკით“ 1961 წლის 12 აპრილს თუ თანამგზავრის ან რაკეტის თვითეული გაშვება საფეხურია კოსმოსის ათვისების გზაზე, ადამიანის პირველი ფრენა დედამიწის ახლო ორბიტით და კოსმონავტის პირველი გასვლა ხომალდიდან — ეს უკვე სართულების ბაქნებია გრძელ კიბეზე, რომლითაც კაცობრიობა კოსმოსში ადის.

1961 წლის 12 აპრილს ადამიანებისათვის გზა გაიხსნა კოსმოსური სივრცისაკენ. ეს ფრენა 108 წუთს გრძელდებოდა, მაგრამ მან ჩაგვიხსნა რწმენა, რომ ადამიანის შესაძლებლობანი უსაზღვროა.

კოსმონავტ გერმან ტიტოვის რეისი ხომალდ „ვოსტოკ-2“-ით 1961 წლის 6 აგვისტოს გრძელდებოდა უკვე 25,3 საათს, და ამ ხნის განმავლობაში მან დედამიწას გარს შემოუარა 17-ჯერ საბჭოთა კოსმონავტის ხანგრძლივმა ფრენამ შესაძლებლობა მოგვცა შევგესწავლა კოსმოსური ხომალდის პირობებში ადამიანის ცხოვრების დღეღამური ციკლი და გამოგვეკვლია კოსმონავტის მუშაობისუნარიანობა უწონობის პირობებში.

გამოიყენეს რა ეს გამოცდილება, საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს კოსმონავტების წვრთნის ყველაზე ეფექტური მეთოდიკა. შემდგომი ფრენის დროს კოსმონავტმა ანდრიან ნიკოლაევმა 95 საათში 64-ჯერ შემოუარა დედამიწას. ხოლო კოსმონავტმა პავლე პოპოვიჩმა 71 საათში — 48-ჯერ. ეს გაფრენა ჯგუფური იყო, ესე იგი კოსმონავტები სხვადასხვა ხომალდით ფრინავდნენ. მეცნიერებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა შეედარებინათ ერთდროულად ფრენაში მყოფი ორი ადამიანის მდგომარეობა და ცხოველმოქმედება. კოსმოსში ადამიანის ხანგრძლივად ყოფნამ დაამტკიცა, რომ შეიძლება უწონობის პირობებში ცხოვრება და ნაყოფიერად მუშაობა.

ეს ექსპერიმენტი განგრძობილ იქნა 1963 წლის იგლისში ხომალდების „ვოსტოკ-5“-ისა და „ვოსტოკ-6“-ის ერთობლივი ფრენისას, რომლებსაც მართავდნენ ვალერი ბიკოვსკი და ვალენტინა ტერეშკოვა.

ვალერი ბიკოვსკიმ კოსმოსში დაპყო 119 საათი. მისმა ხომალდმა ხუთ დღეღამეში 3 მილიონ 300 ათასი კილომეტრი გაიფრინა და 81-ჯერ შემოუარა დედამიწას. ეს ფრენის სიმორისა და ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდია.

ვალენტინა ტერეშკოვას სამი დღეღამის განმავლობაში ფრენამ ცხადყო, რომ კოსმოსური მოგზაურობა სავსებით შესაძლებელია ქალისთვისაც.

ექვსი „ვოსტოკ“ ხომალდის წარმატებით გაშვებამ შესაძლებელი გახადა გადასვლა ტექნიკურად და მედიკო-ბიოლოგიურად უფრო რთულ გაფრენებზე. 1964 წლის 12 ოქტომბერს ორბიტაზე გაყვანილ იქნა მრავალადგილიანი ხომალდი „ვოსხოდ“ ეკიპაჟით, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მეთაური ინჟინერ-პოლკოვნიკი ვლადიმერ კომაროვი, მეცნიერი მუშაკი კონსტანტინე ფეოქტისტოვი და ექიმი ბორის იეგოროვი. კოსმონავტები პირველად იყვნენ ხომალდში უსაფაფარო.

სამუხრუჭო სისტემებმა უზრუნველყო რბილად დაჯდომა პრაქტიკულად ნულის სიჩქარით.

გულდასმით მოწყობილმა წვრთნამ ხელი შეუწყო იმას, რომ ფრენა წარმატებით დადაიტანეს არამფრინავებმაც — კონსტანტინე ფეოქტისტოვმა და ბორის იეგოროვმა. ხომალდში მყოფმა სხვადასხვა პროფილის სამმა სპეციალისტმა მეცნიერული კვლევის დიდი პროგრამა შეასრულა.

დასასრულ, უკანასკნელი ფრენის დროს ალექსი ლეონოვი პირისპირ შეხვდა კოსმოსს. ეს ექსპერიმენტი ათლოებს დროს, როცა დედამიწის გარშემო ორბიტული ფრენიდან ადამიანები გადავლენ სპალანეტათშორისო ფრენაზე — გაფრინდებიან მთვარეზე, მარსზე, ვენერაზე და მოახდენენ სხვა რთულ გაფრენებს.

კოსმოსში ადამიანის გასვლა კანონზომიერი და აუცილებელია მეცნიერებისათვის.

რა იზიდავს ადამიანს ჩვენი პლანეტის ფარგლებს გარეთ? პასუხი მარტივია: ბუნების იმ კანონების გამოკვლევის საქიროება, რომლებიც ჯერჯერობით უცნობია ჩვენთვის.

კოსმოსური ერა დაიწყო მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების დღეს — 1957 წლის 4 ოქტომბერს. ამ დღიდან გასულ შვიდწელიწადნახევარში გასოცარი აღმოჩენები მოხდა. ეი მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

1958 წლამდე მიჩნეული იყო, რომ ატმოსფერო 1.000 კილომეტრ სიმაღლემდეა. მაგრამ უკვე პირველი საბჭოთა თანამგზავრის რადიოსიგნალების ანალიზებმა ცხადყო, რომ ატმოსფეროს ზემო საზღვარი 3.000 კილომეტრამდე სიმაღლეზეა.

მესამე საბჭოთა თანამგზავრზე, რომელიც გაშვებულ იქნა 1958 წლის 15 მაისს, მოთავსებული იყო იონური მახეები დამუხტული ნაწილაკების დასაჭერად. 1959 წელს მთვარისაკენ გაშვებულ იქნა სამი საბჭოთა რაკეტა. თვითეულ მათგანზე იყო ასეთი მახეები. გაზომვათა შედეგებმა დაადასტურა, რომ დაახლოებით 20.000 კილომეტრ სიმაღლემდე დედამიწა გარშემორტყმულია იონიზებული აზოთი, რომელიც შედარებით მცირე სიჩქარის მქონე ნაწილაკებისაგან შედგება.

დედამიწის გეოგვირგვინის გარდა, სულ მოულოდნელად აღმოჩენილ იქნა დედამიწის რადიაციული სარტყლები. შიდა სარტყელი ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს.

დაუვიწყარი თარიღები

△ **1961 წლის 12 აპრილს საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „ვოსტოკი“, რომელშიც ადამიანი იყო, პირველად მსოფლიოში ავიდა კოსმოსში და შემოუფრინა დედამიწას. ხომალდში იყო პირველი საბჭოთა კოსმონავტი მაიორი იური ალექსის-ძე გაგარინი.**

△ **1961 წლის 6 აგვისტოს საბჭოთა კოსმონავტმა გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვმა განახორციელა კოსმოსში გაფრენა ხომალდით „ვოსტოკ-2“.**

△ **1962 წლის 11 აგვისტოს ორბიტაზე გაყვანილ იქნა კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკ-3“, რომლის პილოტი იყო საბჭოთა კოსმონავტი მაიორი ანდრიანე გრიგორის-ძე ნიკოლაევი.**

△ **1962 წლის 12 აგვისტოს საბჭოთა კოსმონავტმა პოდპოლკოვნიკმა პავლე რომანის-ძე პოპოვიჩმა ხომალდით „ვოსტოკ-4“ შეასრულა კოსმოსური გაფრენა.**

△ **1963 წლის 14 ივნისს დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილ იქნა კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკ-5“, რომელსაც მართავდა საბჭოთა კოსმონავტი პოდპოლკოვნიკი ვალერი თეოდორის-ძე ბიკოვსკი.**

△ **1963 წლის 16 ივნისს ორბიტაზე გაყვანილ იქნა კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკ-6“, რომლის პილოტი იყო მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი, საბჭოთა მოქალაქე ამხანაგი ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.**

საბჭოთა კოსმოსური ხომალდებით „ვოსტოკ-5“ და „ვოსტოკ-6“ განხორციელდა მსოფლიოში პირველი კოსმოსური ჯგუფური ფრენა.

△ **1964 წლის 12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე ახალი მძლავრი მატარებელი რაკეტით პირველად მსოფლიოში გაყვანილ იქნა სამადგილიანი პილოტერებული კოსმოსური ხომალდი „ვოსხოდი“. კოსმოსურ ხომალდში იყო ეკიპაჟი, რომელშიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქენი: ხომალდის მეთაური კოსმონავტი მფრინავი ინჟინერ-პოლკოვნიკი ვლადიმერ მიხეილის-ძე კომაროვი, ეკიპაჟის წევრები — კოსმონავტი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კონსტანტინე პეტრეს-ძე ფეოქტისტოვი და კოსმონავტი ექიმი ბორის ბორისის-ძე ეგოროვი.**

△ **1965 წლის 18 მარტს პავლე ივანეს-ძე ბელიაევმა და ალექსი არქიფოს-ძე ლეონოვმა „ვოსხოდ-2“ განახორციელეს კოსმოსური ფრენა. ამ დროს პირველად გამოვიდა ადამიანი ხომალდიდან კოსმოსში.**

კომუნისტი

მე-2 გვერდი, კვირა, 11 აპრილი, 1965 წ.

კოსმოსის. გმირები ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. მ. კომაროვი, კ. პ. ფეოქტისტოვი, ბ. ბ. ეგოროვი, გ. ს. ტიტოვი, პ. რ. პოპოვიჩი, ა. გ. ნიკოლაევი, ვ. თ. ბიკოვსკი, ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ი. ა. გაგარინი, ა. ა. ლეონოვი, პ. ი. ბელიაევი. ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

სიტყვა — ციფრებს

◆ საბჭოთა კოსმონავტებმა რვაგზე გაფრენისას დედამიწას შემოუარეს 292-ჯერ.

◆ ...კოსმოსში დაპყეს 395 საათზე მეტ ხანს,

◆ ...გაიარეს 11.300.000 კილომეტრზე მეტი,

◆ ...ამერიკელმა კოსმონავტებმა ოთხივე გაფრენისას დედამიწას შემოუარეს მხოლოდ 34-ჯერ,

◆ ...კოსმოსში დაპყეს 53 საათი,

◆ ...გაიარეს 1.450.000 კილომეტრი.

◆ ბ. ბელიაევისა და ა. ლეონოვის კოსმოსურმა ხომალდმა „ვოსტოკ-2“-მა დაამყარა 2 აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი: უშუალოდ კოსმოსურ სივრცეში ხომალდის გარეთ ადამიანის ფრენის ხანგრძლივობასა და მანძილში, აგრეთვე კოსმოსური ფრენის სიმაღლეში. ახალი რეკორდია — 495 კილომეტრი.

უმღერიან გმირებს

რა ლამაზია დღეის ზღაპარი,
ეს გამარჯვება რა ლამაზია,
ისე გაცურა კაცმა სამყარო,
როგორც ოცნებამ და ფანტაზიამ...

კოსმოსო! ყველა ვარსკვლავს
გაფიცებთ,
სივრცეს, გაფიცებთ სიდარბაისლეს,
გმირებს უმღერეთ, ვით ძმადნაფიცებს,
და ამ უსაზღვრო გრძნობით აივსეთ...

როცა ციური გახსნეს კარები,
როცა ათრთოლდა ზეცა მზიანი,
სივრცემ დახარა ლურჯი თვალები,
ლეგენდად იქცა ადამიანი...

ო. მოდებაძე,
ქ. თბილისი.

ცაზე ჩანს ირმის ნახტომი,
თუ მათი განაკრილია?!
ჩვენი ეპოქის ფუთები
საუკუნეთა ტოლია.

ვ. ხუცურაული,
დუშეთის რაიონი, სოფ. ხორხი.

მათ მოუტანეს სამშობლოს
ამბები მაღალ ცისაკ...
კვლავ წარგატება ვუსურვოთ
კოსმოსის დაპყრობისაკ.

რ. ნარიმანიძე,
ქ. თბილისი.

დიდ გამარჯვებას ვუმღერი, ძმებო,
მე აღტაცება ველარ დამმალე.
საბჭოთა ხალხის გმირო შვილნებო,
მთვარეზეც ფეხი დაგედგათ მალე.

ბ. ვაწაძე,
ქ. სამარყანდი.

მთვარეს დავიპყრობთ მშვიდობიანის
ალმით,
აღვმართავთ იქაც ლენინის
დროშას,
ყველას ვუამბოთ მეგობრულ
სიტყვით —
ომი არ გვინდა! ვიცავთ
მშვიდობას!

ბ. ყაბანაშვილი,
ქ. კასპი.

ყველამ გაიგო, რომ მიზანს ხვდება
ყოველი ჩვენი გულისნადები.
ჩვენი ოცნების აფთექებაა
დიდი გმირობა კოსმონავტების.

დ. ფერეთელი,
ქ. თბილისი.

სივრცე გაპკვეთეს ქროლვით,
გზები გაკვალეს ცაში,
გმირებს სამშობლო შეხვდა
სიმღერებით და ტაშით.

მზეს გაუსწორეს თვალი,
ზეცას შეუღეს კარი
და უფრო ახლოს ნახეს
ღიმილი მზის და მთვარის

ცაში შეიჭრა ლაღად
მეოცე საუკუნე...
დღეს მზის სიმღერას კაცი
ზეცაშიც აგუგუნებს.

ო. ჩიკვატია.
ქ. სოხუმი.

ზეიმი

ბ. ბ. ეგოროვი, ვ. მ. კომაროვი, კ. პ. ფეოქტისტოვი

ბ. ბ. ეგოროვი — ინჟინერ-პოლკოვნიკი, ავიაციის ინჟინერ-ტექნიკური სამსახურის ბრიგადის ინჟინერ-ტექნიკოსი. ... ...

რესპუბლიკა ღია კერძოვნებს

ჩვენი ინტერვიუ

ფერთა გეიმი

დღეს იწყება მხატვრის კვირეული

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში იწყება ფუნჯისა და საკრისის ოსტატთა ტრადიციული საგაზაფხულო დღესასწაული „მხატვრის კვირეული". ამასთან დაკავშირებით საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ზურაბ ლეჟავამ, გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს გააცნო კვირეულის ჩატარების გეგმა და უთხრა:

—ჩვენში მშვენიერ ტრადიციად დამკვიდრებული „მხატვრის კვირეული", რასაკვირველია, მარტო მხატვრების დღესასწაული როდია. კვირეული საზეიმო და სასურველი დღეებია ყველასათვის, ვისაც უყვარს სახვითი ხელოვნება, იგი ჩვენი მშრომელი ადამიანების დღესასწაულია. ყოველი სახვითი ხელოვნების და, კერძოდ, მხატვრის შემოქმედება უნაყოფოა, თუ იგი ხალხის სიყვარულის და დაფასების საგანი არ იქნება. სწორედ ამიტომ, თუ ზეიმობს მხატვარი, ცხადია, იზეიმებენ მისი დამფასებელი ადამიანებიც.

სახვითი ხელოვნების ძალა ხალხთან, ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირით განისაზღვრება. ამ სულისკვეთებით ჩაიარა საქართველოს მხატვართა ამასწინანდელმა მეექვსე ყრილობამ. რეზოლუციაში, რომელიც ამ ყრილობამ მიიღო, ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატებმა დასახეს ახალი შემოქმედებითი ამოცანები, შობლიურ ხალხსა და პარტიას აღუთქვეს, რომ უფრო აამაღლებენ თავიანთი შემოქმედების იდეურ და მხატვრულ დონეს, აქტიურად შეუყობენ ხელს ახალი კულტურის, კომუნიზმის კულტურის შექმნას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლის ესთეტიკურ აღზრდას.

გასულ წლებში ჩატარებულმა „მხატვრის კვირეულებმა" ნაყოფიერი შედეგები გამოიღო ჩვენი მხატვრობის ხალხთან, ცხოვრებასთან უფრო მეტად დაახლოების თვალსაზრისით. წლევანდელი კვირეულის. მთავარი დანიშნულებაც სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრებასთან ჩვენი კავშირის მეტად განმტკიცება, რადგან ცხადია, რაც უფრო კარგად იცნობ შენს დროს, ხალხის ყოფას, მის აზრებსა და მისწრაფებებს, მით უფრო კარგად შეასხამ ხორცს მას საკუთარ შემოქმედებაში.

მაშ ასე, დღეს იწყება „მხატვრის კვირეული". იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოფიციალურად გაიხსნება ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც მოეწყობა მხატვართა შეხვედრა დედაქალაქის მშრომელებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

ამ კვირის განმავლობაში თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები ავტორთა ავტოგრაფებით. გამოფენა-გაზრობები მოეწყობა სახვატვრო სალონთან, მარჯანიშვილის სახელობის მოედანზე და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან.

დღესასწაულის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საქართველოს მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა სურათების სახელმწიფო გალერიაში. აქ შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენი მხატვრების ახალ ნამუშევრებს, შეხვდეთ მათს ავტორებს, ესაუბროთ, თქვენი შენიშვნები და სურვილები გაუზიაროთ.

თბილისის მხატვართა კლუბში მოეწყობა შეხვედრა საზღვარგარეთ სამოგზაურად ნამყოფ მხატვრებთან. აქვე, იქნება მათი საზღვარგარეთული ჩანახატების გამოფენა.

სახვითი ხელოვნების მოყვარულებს ძალიან მოსწონთ და უყვართ მხატვართა „ღია კარის დღე". სწორედ ამიტომ „ღია კარის დღეები" წელსაც მოეწყობა.

ამ დღეს თქვენ საშუალება გექნებათ შინ, სახელოსნოში ესტუმროთ მხატვრებს, გაეცნოთ მათს შემოქმედებით ლაბორატორიას, ახალ ნამუშევრებს, მომავალ გეგმებს და სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე ისაუბროთ.

„მხატვრის კვირეულის" დღეებში ჩვენი მხატვრები ეწვევიან ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმეურნეობებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, გაგვაცნობენ თავიანთ შემოქმედებითს გეგმებს. მათი მონაწილეობით გაიმართება შეხვედრები, საუბრები.

ანალოგიური ღონისძიებანი განხორციელდება ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

„მხატვრის კვირეული" დამთავრდება 18 აპრილს, დიდი საზეიმო საღამო-კონცერტით, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება.

უჩა ჯაფარიძე. „დედა". ფოტორეპროდუქცია ვლ. გინზბურგისა.

„ლილეს" გასტროლები

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისელმა მაყურებელმა მოუსმინა ვოკალურ-ინსტრუმენტალურ ტრიოს „ლილეს" რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მარეხ გოძიაშვილის მონაწილეობით. მომღერალს მხარს უმშვენებენ ახალგაზრდა შემსრულებლები გივი გაბუნია და ჯემალ ბაღაშვილი.

ტრიომ დიდი მუშაობა გასწია ახალი პროგრამის მოსამზადებლად, რომელიც მეტად მრავალფეროვანია.

ახალი ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიო „ლილე" ამ დღეებში მოსკოვის საკონცერტო ბრიგადასთან ერთად ორი თვით პოლონეთსა და უნგრეთში საგასტროლოდ მიემგზავრება. ქართველი ვოკალისტები პოლონელ და უნგრელ მაყურებელს გააცნობენ ცაბაძის, მილორავას, ლაღიძის და სხვა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მათს რეპერტუარშია აგრეთვე რუს და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სიმღერები.

თ. ცაგურია.

საბჭოთა სპეციალისტები კანადაში

ოტავა, 10 აპრილი. (საკდესი). 28 მარტიდან 8 აპრილამდე კანადაში იმყოფებოდა საბჭოთა არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების ჯგუფი საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ვ. ნესტეროვისა და სსრ კავშირის მინისტრის მ. ვ. პოსოხინის მეთაურობით. საბჭოთა სპეციალისტები გაეცვნენ ადგილს, სადაც აშენდება საბჭოთა კავშირის პავილიონი მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც 1967 წელს გაიხსნება. საბჭოთა სპეციალისტებმა კანადელ ოფიციალურ პირებთან ერთად განიხილეს ორგანიზაციული საკითხები და ის საკითხები, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირის მონაწილეობას გამოფენაში.

მოკლედ

▲ ინგლისის შრომის მინისტრის მოადგილემ ტორნტონმა პარლამენტში გაანაცხადა, რომ 1956 წლის აპრილიდან დღეადე ინგლისში გაფიცვების საერთო ხანგრძლივობამ 35 მილიონი სამუშაო დღე შეადგინა.

▲ 129 კაცი დან, რომლებსაც 1964 წელს სიკვდილი მიუსაჯეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, 85 ჩამოხრჩობილია, განაცხადა სამხრეთ აფრიკის პარლამენტში იუსტიციის მინისტრმა ფორტერმა. ფერვურდის „მართლმსაჯულების" მხსენებელი უმრავლესობა აფრიკელები არიან, რომლებსაც ბრალად ედებათ „ძირგამომთხრელი საქმიანობა არსებული რეჟიმის დასამხობად".

▲ ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებში მარტის დამლეესა და აპრილის დამდეგს დიდი წვიმები და სეტყვა იყო, რამაც სერიოზული ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას. მნიშვნელოვნად გაფუჭდა ნთესვები დაახლოებით 440 ათას ჰექტარ ფართობზე. განსაკუთრებული ზარალი მოუვიდათ უტარ პრადეშის შტატის გლეხებს, სადაც სეტყვამ ნაწილობრივ გაანადგურა ხორბლისა და სხვა კულტურების მოსავალი 7.300 სოფელში.

სრული მხარდაჭერა

ჰანოი, 10 აპრილი. (საკდესი). „მთელი მსოფლიო მხარს გვიჭერს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლაში", — ასეთი რუბრიკით დაბეჭდეს დღეს ვიეტნამის ცენტრალურმა გაზეთებმა შინაარსი ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. გომულკას სიტყვებისა მასობრივ მიტინგზე ვარშავაში. მათ სიტყვებს გაზეთებმა წარუმძღვარეს ასეთი სათაურები: „ამხანაგმა ბრეჟნევმა თქვა: ამერიკის იმპერიალისტები, რომლებმაც დაიწყეს აგრესია ვიეტნამში, სირცხვილისა და დამარცხების მეტს ვერაფერს მიაღწევენ", „ამხანაგმა გომულკამ: პოლონელი ხალხი სავსებით მხარს უჭერს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას". „ბრეჟნევი და გომულკა სავსებით მხარს უჭერენ ჩვენი ხალხის ბრძოლას".

საბჭოთა სპეციალისტები

მაყვალა მრევლიშვილი მზისკენ, რედაქტორი მ. ფოცხიშვილი, მხატვარი ლ. გუდიაშვილი. გვ. 60, ფასი 12 კაპ.

ლევან გოთუა — ლევი ლომისა. რედაქტორი ა. ადამია, მხატვარი გ. ქალაძე. გვ. 230, ფასი 34 კაპ.

გრიგოლ აბაშიძე — სამი მოთხრობა. რედაქტორი გრ. ჩიქოვანი, მხატვარი ე. ამაშუკელი. გვ. 227, ფასი 22 კაპ.

რაფი — ოქროს მამალი. თარგმანი არჩილ დავითიანისა, რედაქტორი ლ. ელიოზაშვილი, მხატვარი გ. ჩრიანაშვილი. გვ. 287, ფასი 67 კაპ.

გ. გოლეთიანი — რუსული ენის თვითმასწავლებელი. რედაქტორი ე. პეტრიაშვილი, მხატვარი შ. ნორაძე. გვ. 515, ფასი 98 კაპ.

ქართული სასტამბო შრიფტების კატალოგი. შედგენილი ბენო გორდეზიანის მიერ. რედაქტორი დ. გეგენავა, მხატვარი ა. დუმბაძე, გვ. 95, ფასი 78 კაპ.

ერის გენაძი



საქართველოს სიყვარულით

გრიგოლ ოდოვის ბიოგრაფიის ახალი ფურცელი

ალექსანდრე გრიგოლ ოდოვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პერიოდს, რომელიც მან საქართველოში გაატარა. ინტერესი, რაც გრიგოლ ოდოვმა საქართველოსადმი გამოიჩინა, იმით იყო ნაკარნახევი, რომ მას ბედნიერება სურდა იმ ხალხისათვის რომელიც გულწრფელად შეიყვარა და რომელმაც იგი, თავის მხრივ, ღირსეულად დააფასა.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში ახლახან აღმოჩნდა ახალი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს გრიგოლ ოდოვის კეთილ განწყობას საქართველოსადმი. ეს არის კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის გენერალ პასკევიჩის მიმართვა საქართველოს მცხოვრებლებისადმი სპარსელთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ამ დოკუმენტში ჯეროვანი შეფასება ეძლევა ქართველ ხალხს.

დოკუმენტი, რომელიც გამოცემულია გენერალ პასკევიჩის სახელით, სინამდვილეში შედგენილია გრიგოლ ოდოვის მიერ, რომლის გამგებლობაშიც იყო მაშინ ამ გენერლის საველე კანცელარია.

ეს დოკუმენტი გრიგოლ ოდოვს რომ ეკუთვნის, ნათლად ჩანს მისი შემდგომი ბარათიდანაც „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის" მოწყობის შესახებ, სადაც იგი ასევე დადებითად იხსენიებს ქართველ ხალხს და მოპყავს ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები, თუ რა ბევრი „ხარჯი გასწია საქართველომ თავისი დოვლათიდან" ომის საჭიროებისათვის, „იმდენი, რამდენიც... ყველაზე აუკავებულ მხარეს თუ შეეძლო".

ახალი ღონისძიებებით გრიგოლ ოდოვი ცდილობდა შეემცირებინა ამიერკავკასიის მაშინ დამონებული ხალხების განსხვავება რუსი ხალხისაგან, დაეახლოებინა ისინი ერთმანეთთან „ზნეობის კავშირით".

მომართვას „მცხოვრებნო საქართველოსანო თარიღად უზის 1827 წლის 30 აპრილი, როცა სპარსეთთან ომის, მცირე ხნით შეწყვეტის შემდეგ, კვლავ განახლდა. მაშინ ეს „მომართვა" ქართულ ენაზე ითარგმნა და ფართოდ იქნა გავრცელებული.

ივ. ენიკოლოფაშვილი.

ჩამოაგდეს ცამეტი

ჰანოი, 10 აპრილი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, რომ 9 აპრილს ამერიკის ავიაციის თავდასხმის დროს ნგეანის პროვინციაზე (ჩრდილოეთი ვიეტნამი) ჩამოაგდეს 13 და არა 8 თვითმფრინავი. ამერიკის ბევრი თვითმფრინავი დააზიანეს. ამერიკის ავიაციის დანაკარგის შესახებ ეს ახალი მონაცემები დღეს გამოაცხადა ვიეტნამის სახალხო არმიის სარდლობამ.

სენატორი აკრიტიკებს

ვაშინგტონი, 10 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლ. ჯონსონის სიტყვა, რომელიც ბალტიმორის პოპკინსის უნივერსიტეტში წარმოთქვა, „არ გვისახავს რაიმე იმედს ან პერსპექტივას, რომ შეწყდება ჩვენი ყოვლად უსამართლო ომი სამხრეთ-აღმოსავლეთ „ზიამში", განაცხადა გუშინ კანტოლიუმში სენატორმა ე. გრიფინგმა (დემოკრატი ალასკის შტატიდან). სენატორმა აღნიშნა, რომ ამერიკის ავიაციის სიჰაერო თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე „არ შეიძლება მოჰყვეს ვიეტნამის მშვიდობა", და მოითხოვა, რომ „შეწყდეს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა". მან თქვა, შეერთებული შტატების მოქმედება ვიეტნამში „დიდად აშფოთებს ყველა ქვეყნის ხალხებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს მოკავშირეებზეო", — თქვა გრიფინგმა, შეეხო რა ჯონსონის განცხადებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან მოლაპარაკებისათვის, რომელიც „არ იქნება შეზღუდული რაიმე პირობით".

მტკიცე პროტესტი

ფხენიანი, 10 აპრილი. (საკდესი). პანმუნჯონში გუშინ გაიმართა კორეის დაზავების სამხედრო კომისიის სხდომა. სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარის მეთაურმა გენერალ-მაიორმა პაკ ჩუნ გუკმა მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის მხარეს იმის წინააღმდეგ, რომ განუწყვეტლივ ირღვევა კორეის დაზავების შეთანხმების პირობები. მან განაცხადა, რომ 30 და 31 მარტს ამერიკის წყალქვეშა ნავი ორჯერ შეიჭრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში. ამერიკის მხარე განუწყვეტლივ უკანონოდ აწვდის სასროლ იარაღს დემილიტარიზებულ ზონაში. ამ ბოლო დროს, ხაზგასმით აღნიშნა კორეა-ჩინეთის მხარის მეთაურმა, ასეთი შემთხვევები აღინიშნა 1,3 და 6 აპრილს.

აღიღებენ ძალებს

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). დღეს დანანგში (სამხრეთ ვიეტნამი) დაიწყო ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის კიდევ ერთი ბატალიონის გადასხმა, რომელშიც 1.400-ზე მეტი კაცია. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი და-ნანგიდან. და-ნანგში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო-საჰაერო ბაზაა სამხრეთ ვიეტნამში, უკვე ახლა თავმოყრილია ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის სამი ათასზე მეტი ჯარისკაცი.

ადამიანის უფლებათა დასაცავად

ჟენევა, 10 აპრილი. (საკდესი). არც ერთ სამხედრო დანაშაულს, სადაც უნდა იყოს და როცა უნდა მოძებნონ იგი, არ უნდა ასცდეს განსასჯელი სკამი, ნათქვამია რეზოლუციაში, რომელიც აქ ერთხმად მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ.

სამხედრო დანაშაულისათვის და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულისათვის სასამართლო დევნა და დასჯა ხელს შეუშლის ანალოგიური დანაშაულის ჩადენას, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას, ხალხთა შორის ნდობის დამყარებას და მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

რეზოლუციამ ლაბვარი ჩასცა დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების ცდებს დამსახურებული სასჯელი ააცილონ ფაშისტ ჯალათებს. იმ საბაბით, რომ „განვლო ხანდაზმულობის ვადამ".

მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში

ბონი, 9 აპრილი. (საკდესი). დღეს დამთავრდა ინგლისის თავდაცვის მინისტრის ჰილისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ფონ ჰასელის მოლაპარაკება, რომელიც მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა. აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ მოლაპარაკების დროს განხილული იყო ორივე ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე „ნატოს აქტიალური საკითხები".

მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იყო ნატოს ატომური ძალების სტრატეგიისა და ორგანიზაციის, ახალ სახეობათა იარაღის შექმნის დარგში ორივე ქვეყნის თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ინგლისის რაინის არმიის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნის დაფინანსების.

აქ აღნიშნავენ, რომ გადაუჭრელი დარჩა პრობლემები, რომლებიც ძირითად როლს ასრულებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის სამხედრო თანამშრომლობაში.

ბონის გუნდესრატში

ბონი, 9 აპრილი. (საკდესი). დღეს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა (ბონის პარლამენტის მეორე პალატა) მიიწონა ამ ცოტა ხნის წინათ ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონი, რომლის თანახმად 1970 წლის პირველი იანვრიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წყდება ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნა „დანაშაულთა ხანდაზმულობის გამო". ამ კანონით ამ დამნაშავეთა სასამართლო დევნის „ხანდაზმულობის ვადა" ითვლება 1950 წლის 1 იანვრიდან.

არ დავივიწყებთ, არ ვაპატიებთ!

△ ოთველფლიურად 14 აპრილს მთელი მსოფლიო აღნიშნავს ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან სამხედრო ტყვეების განთავისუფლებას. დღეს გუხენვალდის ტყვეთა განთავისუფლების ოცი წლისთავია, ხალხის მეხსიერებაში მუდამ დარჩება ფაშისტთა გაუგონარი მხეცობა.

◇ ◇

კეთილი ნების ადამიანები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ ბონის მთავრობის იმ განზრახვის გამო, რომ 1965 წლის მაისიდან შეწყვიტოს ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნა.

და პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ სწორედ 1965 წლის 8 მაისი ჰიტლერული რეჟიმისაგან გერმანიის განთავისუფლების მე-20 წლისთავის დღე, ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების საბოლოო განთავისუფლების დღე უნდა გახდეს.

აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს კაცობრიობას ჰიტლერელმა დამნაშავეებმა, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი გაანადგურეს. ათეულ მილიონობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი. მათ შორის ბავშვები, ქალები და მოხუცები, მხეცურად დახოცეს, ტანჯვით მოსპეს სიკვდილის ბანაკებში, დაახრჩეს გაზის კამერებში.

ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ყველა ქვეყანაში. ყველგან გაბატონებული იყო სასასტიკე და ტერორი: 4.000.000 მოკლული ოსვენციმში, 1.330.000—მაიდანეკში, 122.766 — მაუტჰაუზენში და ა. შ.

როგორც დოკუმენტები მოწმობენ, ამ სასასტიკესა და ტერორს ჩადიოდნენ ჰიტლერის შემდეგი პროგრამული მითითების შესაბამისად: „...განაკითარეთ ადამიანებისაგან დაცლილ... მთელი რასობრივი ერთეულების მოსპობის ტექნიკა".

შეუძლებელია გულისწყრომამ და გაოფთრებამ არ შეგიპყროს, როცა კითხულობ გერმანელ ფაშისტთა სარდლობის მიმართვას ჯარისკაცებისადმი. ისინი ჯარისკაცებს ჩასჩიჩინებდნენ.

„შენ არა გაქვს გული, არა გაქვს ნერვები, ომში ისინი საჭირო არ არის. მოსპე შენს გულში სიბრალული და თანაგრძნობა, მოკალ ყოველი რუსი, ყოველი საბჭოთა ადამიანი, არ შეჩერდე თუ შენს წინ მოხუცი ან ქალია, გოგონა ან ბიჭია. დახოცე ისინი, ამით თავს იხსნი დაღუპვისაგან, უზრუნველყოფ შენი ოჯახის მომავალს და საუკუნოდ გაითქვამ სახელს".

მხეცური იდეოლოგიით აღზრდილ ფაშისტ მკვლელს უნდოდა ყოველივე ცოცხალი გაეყლიტა, მთელი ერი მოეხიბო.

არა, მათ ვერ მოსპეს საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა ქვეყანა უკვდავია!

ამ სტრიქონების ავტორს მოუხდა საქმე ჰქონდა მრისხანე საბრალდებო დოკუმენტებთან, რომლებიც კვლავ და კვლავ ცხადყოფენ, თუ რა შეშაძრწუნებელ მხეცობას სჩადიოდნენ ჩვენს მიწა-წყალზე ფაშისტი ბარბაროსები.

არა მარტო ეგრეთწოდებულ „საბაზო" ბანაკებში და მათს განყოფილებებსა და ფილიალებში ხორციელდებოდა „მთელი რასობრივი ერთეულების მოსპობის", ყოველი რუსის, ყოველი საბჭოთა ადამიანის მოკვლის..." ჰიტლერული პოლიტიკა.

გარდა ამისა, არსებობდა „მასობრივი მოსპობის განსაკუთრებული პუნქტები", ჯალათები ადამიანებს ულიტდნენ დროებითს საკონცენტრაციო ბანაკებშიც ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

დახედეთ ამ ფოტოსურათს, რომელიც აღმოჩენილია გესტაპოს შენობაში 1943 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ ბრიანსკში. საშინელი სურათია, მისი დანახვისას უნებურად ძარღვებში სისხლი გეყინება.

ჰიტლერელი კაციჭამიები ფოტოაპარატებით აუღელვებლად, ყველა დეტალით აღბეჭდავდნენ ბანაკის „ყოველდღიურობას". ჯალათების მიერ გადაღებულ ფოტოკადრებზე აღბეჭდილია სრულიად უდანაშაულო ადამიანთა საშინელი დაღუპვის სცენები.

ყოველივე ეს ხდებოდა დროებითს საკონცენტრაციო ბანაკში ბრიანსკის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას. ეგრეთწოდებულ „მამონოვის მინდორზე".

აქ დამწყვდეული იყვნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეები, პარტიზანთა, კომუნისტთა ოჯახები და ებრაელი ეროვნების მოქალაქენი. ამავე ბანაკში ხდებოდა გერმანიაში საკატორღო სამუშაოზე გასარეკ პირთა შერჩევა.

ბრიანსკის ოლქი განსაკუთრებით იტანჯებოდა ჰიტლერელ ავაზაკთა ყურადღებას. აქ, ბრიანსკის ტყეებში, ჩამოუყალიბდა საბჭოთა კავშირის გმირ სახელგანთქმულ კოვპაკის, და აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირ დუკას ბრიგადები, აქვე მამაცურად ებრძოდნენ ფაშისტ მბარავლებს პარტიზანული რაზმები ვინოგრადოვისა და კრავცევის მეთაურობით, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ბრიანსკის ტყეებში გაჩაღებულმა მასობრივმა პარტიზანულმა, პატრიოტულმა მოძრაობამ აიძულა ჰიტლერელები თავი მოეყარათ „აბვერის", „ზონდერშტაბარ"-ის, გესტაპოს, სდ-ისა და სხვა კონტრდაზვერვითი ორგანოებისათვის, აგრეთვე სხვადასხვა სადამსჯელო პოლიციური ფორმირებებისათვის სამშობლოს მოღალატეთა რიცხვიდან, როგორიც იყო მოღალატე კამინსკის ბრიგადა და სხვ.

არა გვგონია, რომ ამ გვერდზე, მოთავსებულ ფოტოსურათს კომენტარი ესაჭიროებოდეს.

— ტყვეებს დახვრეტის წინ აიძულებდნენ ტანთ გაეხადათ...

— სს-ელები თავიანთ მსხვერპლთ ფორნებში ერთმანეთის გვერდით დაყრიდნენ და ისე ეზიდებოდნენ დამარხვის ადგილისაკენ.

— თავიანთ მსხვერპლთა დასამარხავად სს-ელები იყენებდნენ ყოველგვარ თხრილებს, ტრანშეებს ტყის ზოლში ან ყუმბარებისა და ბომბების აფეთქების შემდეგ დარჩენილ ორმოებს.

— ობერჯალათები, რომელთა სახელები, სამწუხაროდ ცნობილი არ არის, შესაძლოა, დღემდე დაუსჯელნი თავისუფლად დასეირნობენ, და ბონელი მფარველნი აპირებენ „ხანდაზმულობის" გამო აპატიონ მათ შემაძრწუნებელი დანაშაულობანი.

საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებმაც ომში უმაგალითო დანაკლისი განიცადეს, ვერ დაუშვებენ, რომ ფაშისტი ბარბაროსები დაუსჯელნი დარჩნენ.

ჯალათების მფარველთა ბოროტ განზრახვას უნდა დაუპირისპირდეს ყველა პატიოსან ადამიანთა მისწრაფება მოქმედებისაკენ.

სისხლის წყურვილი როდი ხელმძღვანელობს იმით, ვინც ნაცისტების სასტიკად დასჯას მოითხოვს. არა, ნაცისტ ბოროტმოქმედთა დასჯას მოითხოვს სამართლიანობა, იმისადმი მისწრაფება, რომ შთამომავალთათვის შეევინარჩუნოთ მშვიდობა და მყუდროება.

შ. გაგიევი.
თადარიგის პოლკოვნიკი.

საერთაშორისო ცხოვრება

მატარებლით გმირ-ქალაქებში

გუშინ დილით თბილისის სადგურიდან გავიდა თელავიდან მომავალი მატარებელი, რომლის ვაგონებს ჰქონდათ წარწერა: „ტურისტული“.

თელავის რაიონის ვპი-ზე მეტმა მოსამსახურემ, კოლმეურნემ, სტუდენტმა და მოსწავლემ გადაწყვიტა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად სპეციალური მატარებელით მოეწყო ტურისტული მოგზაურობა მარშრუტით: თელავი-კიევი-ოდესა-სევასტოპოლი.

ტურისტებს შორის არის რაიონში მცხოვრებ ომგადახდილთა ჯგუფი, რომლებიც ამ ქალაქების დაცვა-განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ.

თვითეულ ქალაქში ტურისტები რამდენიმე დღეს დამყოფენ და მოინახულებენ საბჭოთა არმიის საბრძოლო დიდებასთან დაკავშირებულ ადგილებს. სევასტოპოლში განზრახულია მოეწყოს მიტინგი საპუნ-გორაზე დაღუპულ ქართველ მეომართა ხსოვნის აღსანიშნავად. ტურისტებს თან მიაქვთ აგრეთვე ცოცხალი ყვავილები და მარადმწვანე ხეთა ნერგები, რომლებსაც ძმათა სასაფლაოებზე დარგავენ.

ორდენი ოცი წლის შემდეგ

თბილისელი წლის ჭაბუკი იყო ბათუმელი მიხეილ ლომთათაძე მოხალისედ ორმ წავიდა საბჭოთა არმიაში. 1939 წელს მან წარმატებით დაამთავრა საავიაციო სკოლა.

სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე მორწმუნე ხაზზე იყო. თავიდან ავიაგამანადგურებლით შიშის ზარს სცემდა გერმანელთა შეხვერეებს. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუძარცვია საჰაერო დუელი და ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნებულა. ერთ-ერთი შეტევის დროს მიხეილის თვითმფრინავს ცეცხლი მოედო, დაჭრილი მფრინავი ძლებული გახდა პარაშუტით დაშვებულიყო. ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ იგი კვლავ ფრონტზე ბრუნდება.

მალე მიხეილ ლომთაძე მეთხუთმეტე საჰაერო არმიის მეოთხე ლმის ბომბდამშენთა პოლკში გადაიყვანეს. მიხეილის თვითმფრინავი ღამით წამოიპარებოდა მტრის ატომდრომებს, დაყრიდა ცეცხლგამჩენ ბომბებს და, სანამ მტერი გონს მოვიდოდა, უკვე სამშვიდობოს იყო. ამხანაგები მიხეილს ხუმრობით „ჭინკას“ ეძახდნენ. მან საბორტო ჟურნალში 360 ლმის საბრძოლო გაფრენა ჩაიწერა.

1943 წელი. ქალაქ კარაჩაევში გერმანელები გამაგრდნენ და ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ. მიხეილის თვითმფრინავმა მოსვენება დაუკარგა ფაშისტებს, დაბომბა მათი გამაგრებული პოზიციები. საბჭოთა საჰაერო არმიის სარდლობამ მიხეილ ლომთაძე სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვა. ორი წლის შემდეგ მან სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენიც დაიმსახურა საბრძოლო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ჩვენი ჯარები ნაწესადგურ ლეპაიაზე საერთაშორო ემზადებოდნენ. მ. ლომთაძემ ჩვეული ოსტატობით შეუტია მტერს და წარმატებით შეასრულა სარდლობის დავალება.

მამაცობისათვის სარდლობამ იგი წოდელი დროშის ორდენით დაჯილდოვა. ამას წინათ იგი აბერის ასსრ სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს ჯილდოს მისაღებად. ომის ვეტერანს 20 წლის შემდეგ მკერდზე დაანთეს წითელი დროშის ორდენი. ძვირფასი ჯილდო მიხეილ ლომთაძეს სამხედრო კომისარმა პოლკოვნიკმა რ. ართმელაძემ მიულოცა.

რ. გორგაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

◆ არქეოლოგიური ნაპოვნი

გმგეპკორი. (საკ. კორ.). ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მუშებმა მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინეს სამარხი. ამის შესახებ მათ აცნობეს გეგეჭკორის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელმაც მოაწყო ექსპედიცია, სამარხის შესასწავლად.

ჩვენ ვესაუბრეთ მუზეუმის დირექტორს ბ. ელიავას. აი რა გვიამბო მან:

— სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, გარდა ზედაპირული კერამიკული მასალისა, აღმოჩნდა ორი სამარხი. ადამიანთა ძვლებთან ერთად აქ იყო შუბისა და ხანჯლის წვერები. როგორც ჩანს, ქვევრსამარხში დამარხული იყენენ მონა-მეომრები. ქვევრსამარხებში აღმოჩნდა კოლხური დრაქმები და ნახევარდრაქმები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, ბრინჯაოსა და თიხის მძივი.

ბრინჯაოს ერთ-ერთ სამაჯურზე მიმაგრებულია პატარა ფირფიტა, რომელზეც გამოსახულია მეომარი. მას მარჯვენა ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს. ფირფიტაზე გამოსახულია აგრეთვე ეკვსქემიანი ვარსკვლავი.

ასეთი სამკაული არქეოლოგიურ პრაქტიკაში ეშვიათი ნაპოვნია.

საინტერესოა ქვევრთა მოხატულობაც. ნაპოვნ კოლხურ დრაქმათა და ნახევარდრაქმათა შესწავლა მოწმობს, რომ სამარხი ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნეზე გვიანი ხანისა არ უნდა იყოს.

◆ ცნობისმოყვარეთათვის

ტალლეგს მინდობილი

ამბას წინათ ერთმა ახალგაზრდა ლონდონელმა ნავით მდინარე ტემზაზე გასეირნება გადაწყვიტა. მალე მას ნიჩბის მოსმა მობეზრდა და ნავი მდინარის დინებას მიანდო, ტალლზე ნავის რიტმული ქანაობისაგან ინგლისის დედაქალაქის მცხოვრებს ჩასთვლიმა. როდესაც გამოეღვიძა, მის გაოცებას აზღვარი არ ჰქონდა—ნაპირზე ადამიანები ფრანგულად ლაპარაკობდნენ. თურმე მას შვიდი საათი სძინებია და ამ ხნის განმავლობაში ნავით ლა-მანში გადაუცურავს.

ჯინა, შეიცოდეთ ჯიქები!

ცნობილმა ზოოლოგმა, ფრანკფურტის ზოოპარკის დირექტორმა გრუბიმეკმა თხოვნით მიმართა პოპულარულ კინოვარსკვლავს ჯინა ლოლობრიჯიდას, რათა მან თავი დაანებოს ჯიქის მანტოს ტარებას. მსახიობის ფოტოსურათებმა, სადაც იგი ჯიქის ტყავის ქურქშია გადაღებული, მკვეთრად გაზარდა ბრაკონიერთა ნადირობა ამ იშვიათ ცხოველზე. გრუბიმეკს უსაფუძვლოდ როდი ეშინია, რომ მოდას შეუძლია ხიშტრიების წინაშე დააყენოს ამ ლამაზი ცხოველის არსებობა და გამრავლება.

დეგუსტატორის ოცნება

ორმოცდაათი წლის ერთგული სამსახურის შემდეგ პენსიაზე გავიდა სტენლი ბარვიკი. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი იძულებული იყო არ ეჭამა ხახვი, შებოლილი ხორცეულობა თუ თევზეული, აგრეთვე სხვა ცხარე საჭმელი — სტენლი ბარვიკი ლონდონის წყლების დეგუსტატორად მუშაობდა.

ოთხფეხა კინოვარსკვლავები

ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელი გაითქვა სამმა გაფერთხილმა გერმანულმა ნაგაზმა — ტორნმა, ლონდონმა და ტოგომ.

მათ ესმით ხუთათასამდე სიტყვა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. იმითაც არიან ცხობილი, რომ ადვილად არჩევენ ფერებს. მათ 286-ჯერ მიიღეს მონაწილეობა ტელეგადაცემებში და ორ ფილმში მთავარი როლები შეასრულეს.

მეექვსე ტაუები

ლონდონი, 10 აპრილი. (საკდესი). ფუსტბორტელმა (ირლანდია) 38 წლის ტერეზა დაფიმ მეექვსედ შობა ტაუები. უკანასკნელი ტაუები გობრონეთის, თითოეული 3 კილოგრამს იწონის. ახლა ტერეზა დაფის 15 შვილი ყავს.

ᲐᲮᲚᲘ ᲐᲕᲯᲔᲠᲘ · ᲧᲠᲝᲯᲔᲠᲘ

ᲖᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲘ ᲘᲓᲒᲐ. ᲮᲝᲤᲔᲚᲘ ᲫᲘᲚᲘ ᲔᲓᲔᲜᲝᲓᲐ. ᲐᲯᲐ-ᲘᲯ ᲯᲠᲔ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲜᲝᲕᲐᲠᲘᲐ. ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲜᲒᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲡᲘᲠᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲔ. ᲛᲐᲚᲔ ᲛᲐᲡ ᲜᲘᲩᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲐ ᲛᲝᲛᲑᲔᲖᲠᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲕᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲜᲓᲝ, ᲢᲐᲚᲚᲔᲖᲔ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲘᲜᲓᲝᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲫᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲠᲝᲓᲡᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲦᲕᲘᲫᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲓᲜᲔᲚᲘ. ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲦᲕᲘᲫᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲓᲜᲔᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ. ᲛᲔ ᲐᲚᲐᲗᲐᲛ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲔᲔᲚᲐᲛ ᲙᲝᲜᲢᲣᲨᲘᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲮᲡᲜᲐ — ᲣᲦᲐ ᲛᲝᲛᲔᲮᲐᲠᲘᲝᲡ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲛᲔᲡᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲘᲡᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲐᲜᲣ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲑᲐᲮᲜᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

— **ᲐᲒᲝᲜᲘᲛᲔᲜᲢᲘ?** ᲑᲘᲚᲔᲗᲘ?!

— არც ერთი არ მაქვს და, რა გიყო, ნემო გრიგოლ.

— ვასო, შენ შემოგველოს მთელი ქვეყანა, მიშველე რამე. ერთი ბილეთი, ომერთი არა გწამს? აღმოსავლეთ ტრიბუნა იყოს, პარტერზეც თანახმა ვარ.

— ჰმ, აღმოსავლეთით, რაც სტადიონის განთვება დაიწყეს აღმოსავლეთს ვინღა სწუნობს, კაცო.

— ჰოდა, ერთი ბილეთი მომეცი.

— არ მაქვს და რა გიყო, ჩემ ბილეთს ხომ არ მოგცემ?

— ვასილ, — ვეღრებაზე გადავედი, ცხარა ანგელოსი დაეფიცე, შუბლი იტაკეს დავარტყი იაე მოვიკეცე, მაინც აოაფერმა გაჭრა. კლდესავით მოუდგომელი და გულქვა აღმოჩნდა. რა უნდა მექნა. ეგრძნობდი, როგორ მომაწვა სისხლი თავში, ხელები ამიკანკალდა.

— რა ვქნა, ძმია, — მითხრა ამ ღმერთის ოდეხა კაცმა (ღმერთზე ძლიერია, აბა რა. ყველას სული მის ხელშია ფეხბურთის ბილეთების განაწილებას ოომ დაიწყებს), — ოცი ბილეთი გამოვვიყვეს, მეტი არა, ჩვენს ინსტიტუტში კი ასზე მეტი თანამშრომელია. რა ვქნა, მითხარი? ჩემს ადგილს დადექი და, ერთი კვირის ვადას გაძლევ, მეტს არა — გადაირევი. ქალებს ბილეთებს არ ვაძლევ, კაცებს, ვინც კანდიდატი არ არის — არც იმათ, მაგრამ ჩვენს ინსტიტუტში, შენც იცი, ერთ ლაბორანტზე ცხრა კანდიდატი და სამი დოქტორი მოდის. ესე იგი დარჩა ორმოცი კაცი, ბილეთი ეკუთვნის. პატივცემულ ვახტანგისთან ვიყავი და მითხრა, რა გაეწყობაო, ათი ბილეთი მორიგეობითო, თამაშის ჩაგდებით მივცეთო.

— ათ ბილეთს ვისცა აძლევთ ყოველ თამაშზე?

— დირექტორს, განყოფილების გამგეებს, პარტკომს, მე, როგორც პროფკომს, არჩილს-ხომ იცი ვისი მოწყობილია აქ, ლევანს რომ არ მივცე, შენც იცი, რა საქმეზელია. ესეც შენი ათი ბილეთი.

— შეგარცხვინა ღმერთმა, მეგობრები მაინც არ ვიყოთ.

— ჰოდა ამიტომ გელაპარაკები ამდენს, არა მაქვს და ნუ. მთხოვ. ყოველთვის გაძლევდი. წელს დაგვიკლეს ბილეთები, სად არ ვიყავი, ხუთი ბილეთიც არ წავიმატეს.

— ერთი ბილეთი მინდა, — ხმა ამიკანკალდა მე და ცრემლები მომადგა თვალებზე. ორმოცდაათს მიღწეული კაცი ვარ, ფრონტი გამოვლია და მარჯვენა მხარი რომ დამჭრეს, მაშინ არ მომდგომია ცრემლი. მიწა გამსკდომოდა, ის მერჩია, მაგრამ რა უნდა მექნა. ეგრძნობდი, რომ ჩემი სული მის ხელში იყო და სული რომ ტკბილია, ქვეყანამ იცის.

— არა მაქვს და დამანებე თავი, — იყვირა ვასომ, — რას მიმეწერე, არ მაქვს და მიჩიეკე სადაც გინდა, არ გაძლევ ბილეთს. ვა, ეს ვინა ყოფილა! — დაამთავრა ყვირილი და მაგიდიდან წამოხტა, ქალდაფები ვადაალაგა, ჯარა გააღო, მერე დაკეტა და სკამზე დაეცა.

— მღუპავ ხომ?

— სხვაგან ეშოვნე.

— დამცინი კიდეც?

...?!

— ერთი ბილეთი, — დავიღრიალე არაადამიანური ხმით.

ვასომ ქვევიდან ამომხედა და არაფერი მითხრა, ო, ეს თვალები! ვეღარ მივხედი ვეღოდებოდი თუ დამცინოდა.

— ბილეთი, — ვიღრიალე რაც ძალა და ოონე მქონდა და მაგიდას დავარტყი მუტტი.

— არა მაქვს, — ჩემზე ხმამაღლა იყვირა ვასომ და წამოხტა.

— ბილეთი! — ვყვიროდი მე.

— არა მაქვს, —ღრიალებდა ვასო.

— ბილეთი!! ბილეთი! ბილეთი!

მამლაყინწებივით ვიდექით ერთმანეთის პირისპირ და ვყვიროდით. შეშლილის სახე ჰქონდა ვასოს, თმა აბურძგნოდა, სახე მორეცოდა, კაცის ფერი აღარ ედო. მე ალბათ უარეს მდგომარეობაში ვიყავი. ეველმა კონტუზიამ გამიხსენა — ყმა მომეხგრა, ხმას ვეღარ ვიღებდი. აღარ მახსოვს, როგორ დავაგლე ხელი მარმარილოს დიდ სამლინეს და როგორ დავცხე თავში, ერთხელ... ორჯერ... სამჯერ... შევამჩნიე როგორ მოეშვა ვასო, როგორ ჩამოცურდა სკამზე და როგორ ჩამოჰკიდა თავი.

ახლა კი მოვედი გონს, რა ვქენი — მეთქი, მაგრამ ვგიანია იყო. ვასოს სიცოცხლის ნაგამალიც არ ეტყობოდა, მე კი სისხლში ვიყავი გასვრილი.

ეიეიეთ წამოვეარდი, რაღაცეებს ვამბობდი და ხელებს ვასავსავებდი...

— რა დაგემართა, გრიგოლ, გონს მოდი.

— ა, ა, სად ვარ?—ოთახში სინათლე ენთო. მეორე ოთახიდან ბავშვებს გამოეყოთ თავი და შიშისაგან ცახცახებდნენ. ჩემი ცოლი თავზე მადგა და რომ ავხედე, მის თვალებში წვიკითხე — უკვე გამოტირებული ვყავდი. მივიხედ-მოვიხედე. ცოლმა წყალი მომაწოდა. მოვსვი და ამოვისუნთქე. გავიფიქრე: სისულელეა, რამ დამასიზმრა ეს სიმინელება. ბავშვებს შეეუტიე:

— დაწექით, რა პირი დაგიღიათ.

ბავშვები კარებს უკან მიიმალნენ, მე კი გამახსენდა, როგორ შემოვიდა გუშინ ჩემს ოთახში ვასო, როგორ დამმარტოხელა და ჩუმად მომცა ფეხბურთის ბილეთი, თან მითხრა: არავისთან დაგცდეს, ჩემგან რომ გაქვს ბილეთი მიღებული. ვიცოდი ასევე ჩუმად შევიდოდა მეორე განყოფილებაში, დაიმარტოხელებდა რომელიმე თანამშრომელს, ასევე ჩუმად ჩაუცურებდა ბილეთს ჯიბეში. რას იზამ სხვანაირად არ შეიძლება; დიდი დიპლომატია უნდა ოცი ბილეთის ეს კაცნი გაანწილებას. ბალიშქვეშ შევაცურე ხელი. იქ შევდე ბილეთი დაწოლის წინ. აქ არის, აქ — გული ისევ საგულეს მქონდა. ხელიანდელ თამაშზე ფიქრში ჩამძინებოდა წუხელ.

— ო, ეს ნერვები, — ხმამაღლა ვთქვი და სიცილი ამივარდა. ცოლმა სინათლე ჩაანთო და დაწვა.

თენდებოდა. ფანჯარაში მოჩანდა ულრუბლო ცა.

— როდის დამთავრდება ფეხბურთის სეზონი? — კბილებში გამოსცრა ძილგატეხილმა ცოლმა.

— ნოემბრის ბოლოს, — ვთქვი მე და გული დამწყდა, რა გამაძლებინებდა ნოემბრიდან მომავალ აპრილამდე, — რატომ მეკითხები?

— ისე... უბრალოდ, — მითხრა ცოლმა და ერთხელ კიდევ ამოიხვნეშა.

ო. ლორთქიფანიძე.

◊ **იზრდება** და ლამაზდება ქალაქი მახარაძე — რუსპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონის ცენტრი. უკანასკნელ წლებში ქალაქში აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები.

• • •

სურათზე: ქალაქი მახარაძე დღეს. მარჯვნივ — მახარაძის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობა. ფოტო გ. კოკვაძისა და ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სპორტი

პარტია გადაიდო

გუშინ რიგაში შედგა პრეტენდენტობა მეოთხედფინალური მატჩის მესამე პარტია ჭადრაკში ბ. სპასკისა და პ. ფიშერს შორის. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში. გადადებული პარტიის დამთავრება მოხდება 12 აპრილს.

სპორტული ქრონიკა

◆ მილანში დაიწყო ფინალური ტურნირი წყალბურთში ევროპის ჩემპიონთა თასს. პირველი მატჩი საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდს ჰქონდა იტალიის ჩემპიონთან — „რეკთან“ და დამარცხდა 4:5.

◆ ბუენოს-აირესში გაიმართა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ბოლო მატჩის პირველი ფინალური მატჩი ფეხბურთში. არგენტინის ჩემპიონმა „ინდიპენდიენტემ“ დაამარცხა ურუგვაის „პენიაროლი“ 1:0. ამ გუნდების მეორე მატჩი შედგება მონტევიდეოში.

◆ გუშინ ორჯონიკიძეში მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა საკონტროლო მატჩში დაამარცხა ადგილობრივი „სპარტაკი“ 1:0. ბურთი გაიტანა რეინგოლდმა.

მატჩი ძუთაისში

გუშინ ქუთაისში ადგილობრივმა და მოსკოვის ტორპედოელებმა გამართეს უკანასკნელი საკონტროლო მატჩი ფეხბურთში.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. ბურთი გაიტანა ხაჟალიამ. ამას მოჰყვა სტრელცოვის ორი სასპასუხო გოლი, ხოლო ტაბიის ბოლოს შჩერბაკოვის მესამე ბურთი.

მეორე ნახევრის მე-15 წუთზე თერთმეტმეტრიანი სჯარიმო დარტყმით კუტუვაძემ ბურთების სხვაობა შეამცირა, მაგრამ თერთმეტი წუთის შემდეგ სტრელცოვმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა. თამაშის დამთავრებამდე სტუმრებმა ორი გოლით გაზარდეს ანგარიში და გიმარჯვეს ანგარიშით 6:2.

ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲠᲔᲜᲔᲤᲘ

ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲤᲐᲠᲓᲐ ᲐᲮᲐᲓᲐ ᲑᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲐᲟᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲔᲠᲙᲘᲠᲗᲘ ᲤᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲒᲘᲒᲝ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ „ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ“. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲕᲞᲘ-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲝ�გᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲗ: ᲗᲔᲚᲐᲕᲘ-ᲙᲘᲔᲕᲘ-ᲝᲓᲔᲡᲐ-ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘ.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ-ᲒᲐᲜᲛᲝᲜᲗᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲓᲜᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲘᲡᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ.